

შინაური საქმეები.

№ 5.

შასი ერთი შაური

ფლიური შასი 4 მან.

წელიწადი მეექვსე.

ყოველკვირეული გაზეთი

კვირა, 10 თებერვალი 1913 წელი

ყოველკვირეული გაზეთი

სულს შეიქმნა წილი მონაწილეობის მქონე ანუ განაწილდეს: თოდგან 2 მ. და 1 იენის 28.

ადრესი: ქუთაისი: „შახუნი საქმეების რედაქცია“

საქმეები № 17. და თბილისში გამომცემელთან სომხის გაზონში, სომხთაგანის შუგის მკაფიანში. გამოცემა ყოველ თვეში ოთხი ნომერი.

წილი თვის: 4 მანეთი.

წახ. წლით: 2 მანეთი.

სამს თვის: 1 მანეთი.

კრთა თვის: 2 აბაზი.

შინაური საქმეების რედაქცია

შინაური: 1. სიტყვა—ეპისკ. ლეონიდისა; 2. სამრევლოს აღდგენის საკითხის შესახებ (დასასრული)— 5. დურნოვისი; 3. სამღვდლოების საყურადღებოთ; 4. დროებით ვალდებულ გლეხების გათავისუფლების გამო; 5. კვირიდამკვირამდე; 6. პირია მონასტერი— აღშოთებულისა; 7. სიტყვა მღვ. ბიკტორ ტყემალაძისი; 8. მოწერილი ამბები, ს. აკეთი— დამსწრე მრევლთაგანისა; 9. მღვდელი ნიკოლოზ გიორგის ძე ჩიხლაძე (ნეკროლოგი) — მასწ. 5. ჯიშკარიანისა; წერილები რედაქციის მიმართ.

სიტყვა

ოცდა მუშვიდე კვირიაქის.

შაბათი კაცისათვის დაიბადა, და არა თუ კაცი შაბათისათვის, (მარკ. 2, 27).

შაბათი დღესაც, ჩვენ დროშიც, ებრაელებისათვის უქმე და სრული მოსვენების დღეა. შაბათ დღეს მორწმუნე ებრაელი მხოლოდ ლოცულობს, ღმერთზე ფიქრობს და ამის გარდა ყოველი საქმიანობა, ყოველი მოქმედება და მოძრაობა მის თვალში ცოდო და დანაშაულობაა.

ებრაელთა ხანგრძლივ ცხოვრებაში არ ყოფილა დრო, რომ მათ დაეკარგოთ ხსოვნა შაბათისა. უქმობა შაბათს, კვირიაკობის მეშვიდე დღეს, მათი რწმენით, შეადგენდა მსოფლიო, საკაცობრიო დებულებას და სათავეს. დასაწყისი ამ დებულების აჰყავდათ ქვეყნის დაბადების ეამამდე. ამ დღის შესახებ ებრაელის

სჯულის პირველი წიგნის პირველ გვერდზევე ვკითხულობთ: და განასრულნა უფალმან ღღესა მეექვსესა საქმენი თვისნი, რომელნი ქმნა, და განისვენა ღღესა მეშვიდესა ყოველთაგან საქმეთა თვისთა, რომელნი ქმნა. და აკურთხა ღმერთმან ღღე მეშვიდე, და წმიდა ჰყო იგი, რამეთუ მას შინა დასცხრა ყოველთაგან საქმეთა მისთა, რომელთა იწყო ღმერთმან ქმნად (შექმ. 2, 2-3).

ჩვენთვის, ცოტა არ იყოს, მიფარული და ნისლით დაჩრდილული აზრი მოყვანილი სიტყვებისა, ნათელი და ცხადი იყო პირვანდელი ებრაელებისათვის. მათი შეხედულებით და რწმენით განსვენება და დაცხრომა ღვთისა საქმეთაგან მეშვიდე ღღეს და მასთან ერთად კურთხევა და განწმედა ხსენებული ღღისა, ნიშნავდა კვირიაკის მეშვიდე ღღეს ღვთისაგან სრული მოსვენების დაკანონებას კაცისათვის ფიზიკურ შრომათაგან იმ მიზნით, რომ კაცმა ეს ღღე მოიხმაროს ღმერთთან დასაახლოებლად ღოცვითა და ქველმოქმედებებით, ამ ღღეს განსაკუთრებით იზრუნოს სულის განვითარებაზე და ზნეობრივ წინსვლაზე: მათი შეხედულებით, თუ ქვეყანა დაბადა ღმერთმა კაცის სხეულის სასაზრდოვით, სამაგიეროთ მისი სულიერი მხრის განსავითარებლად უფალმა დაუწესა მას შაბათი.

მაგრამ, როგორც ნათელი ფერის ტანისამოსს დროთა განმავლობაში დაედება ხოლმე მტვერი, როგორც მოელვარე ლითონი არა იშვიათად შავდება ხოლმე ჟანგისაგან. ისე მოყვანილი ნათელი და სწორი შეხედულება პირვანდელი ებრაელებისა კვირიაკის მეშვიდე ღღის დანიშნულების შესახებ დროთა და საუკუნეთა განმავლობაში თანდათან დაბნელდა, დაიხშო, გამრუდდა და ბოლოს, იესო ქრისტეს დროს, ფარისეველებისაგან იმდენად გაუკუღმრთდა,

რომ ნიშან წყალიც აღარ შერჩა პირვანდელი შეხედულობისა. ფარისეველების ხელში სასიკეთო კი არა, მთლად საუბედურო შეიქმნა შაბათი კაცისათვის. ფარისეველები ქადაგებდნენ, რომ კაცია შაბათისთვის გაჩენილი და არა შაბათი კაცისთვისო და ამიტომ უღმობელი სისასტიკით იცავდნენ შაბათის დაურღვეველობას: ისინი ღვთის მცნების დამრღვეველად აცხადებდნენ ყველას, ვინც შაბათ ღღეს გაბედავდა გაქივრებული და საწყალი, შეწუხებული კაცისათვის რაიმე დახმარების ამოჩენას. ამ მხრივ ღღევანდელი სახარება საუცხოვოდ ახასიათებს ფარისეველებს. ერთხელ იესო ქრისტემ შაბათ ღღეს ებრაელების სამლოცველოში დაინახა ერთი საცოდავი დედაკაცი, რომელიც დაკრუნხული იყო ქარებისაგან და თვრამეტი წლის განმავლობაში საშინელ ტანჯვებს განიცდიდა. მაცხოვარმა „მოუწოდა და პრქვა მას: დედაკაცო, განტევებულ ხარ უძღლურებისაგან შენისა. და დახსნა მას ზედა ხელნი, და მეყვსეულად აღემართა, და ვიდოდა, და აღიდებდა ღმერთსა.“

არ მოეწონა ასეთი საქციელი ქრისტესი შესაკრებელის უმფროსს, აღშფოთდა იგი სულით და მიმართა ერს: „ექვსნი ღღენი არიან, რომელთა შინა ჯერ არს საქმედ, მათ შინა მომავალნი განიკურნებოდენ, და ნუ ღღესა შაბათსაო.“

თავისი ღვთაებრივი გონების სიმძლავრით იესო ქრისტემ შემუსრა, არარად აქცია, გაანადგურა და მიწასთან გაასწორა ესეთი შეხედულება ფარისეველებისა შაბათზე. ცხადი, ფოლადივით მკვეთრი და მოურიდებელი სიტყვებით დაანახვა ქრისტემ შეკრებილ ხალხს, რომ შაბათის დარღვევა, თუკი ამას თხოულობს კაცის გაქირვება, დანაშაული კი არა, პირდაპირი და საღმრთო მოვალეობაა ყველა სათვისო. ბაგაზე დაბმულს ვირისა და

ხარის გაჭირვებაში შევდივართ შაბათ დღეს, გვებრალებიან ისინი, რომ წყალი სწყურიათ, არ ვერიდებით შაბათს, აუშვებთ ხოლმე მათ და თოკით მიგვიდის და განა კაცი პირუტყვთან შედარებით ნაკლებათ შესაბრალისია? უფრო მართებული არ იქნება, რომ შაბათ დღეს ყოველ გაჭირვებულ ადამიანს დავეხმაროთ, რადგანაც შაბათი კაცისათვის დაებადა და არა თუ კაცი შაბათისათვის? მიუგო მას (შესაკრებელის უმფროსს) იესო და ჰრქვა: ორგულთ! კაცად-კაცადმან თქვენმან არა აღსნისა შაბათსა შინა ხარი, გინა ვირი ბაგათაგან მათთა, და წარიბის და ასვის მას წყალი? ხოლო ესე ასული აბრაამისი იყო, რომელი შეეკრა ეშმაკსა, აჰა ესე რა, ათრვამეტი წელი არს, არა ჯერ იყოა განხსნად საკვრელთაგან მისთა დღესა შაბათსა? (ლუკ. 13, 11-16)

ამ გვარად მაცხოვარმა ჩამოაცალა შაბათ დღეს ის ულაზათო ზედნაშენები, რომლებითაც ფარისეველები აბნელებდნენ შაბათის ნათელ აზრს, გადაფხიკა და მოაშორა ის ჟანგი და მტვერი, რომლითაც ცბიერი ფარისეველები განგებ ჰფარავდნენ ამ კაცისათვის სასიკეთო დღეს და კვლავ დაუბრუნა ამ მსოფლიო, სამარადისო და სავალდებულო დებულებას მისი პირვანდელი აზრი.

მართალია, ებრაელების სჯული და მათი შაბათი, ჩვენთვის აღარავეთარ საქიროებას აღარ შეადგენს, რამეთუ არა ვართ სჯულსა ქვეშე, არამედ მადლსა (რომ. 6, 15), მაგრამ შაბათის ნაცვლად მისი მაღალი აზრით და დანიშნულებით ახალ აღთქმაში ქრისტეს მოციქულებმა ყოველი დროისა და ყოველი ქვეყნის ქრისტიანებს დაუდგინეს კვირიაკის პირველი დღის ხსოვნა და წმიდაყოფა. პირველი საუკუნოების ქრისტიანეთა ცხოვრებიდან ვიცით, რომ კვირაობით ისინი ხელს დებულობდნენ ჩვეულებრივ საქ-

მიანობაზე და სამაგიეროთ მთელ დღეს სწირავდნენ სულიერ მოღვაწეობას, ლოცვას, ქველმოქმედებას და გაჭირვებულთა დანუგეშებას სიტყვით და საქმით.

ახლაც განათლებულ და დაწინაურებულ ქრისტიან ერებში, მეტად დიდი და განსაკუთრებული ყურადღებით ეპყრობიან კვირა დღეს; რაც კი რამ საღმრთო და სასიკეთოა, რაც კი რამ მაღალი და ზნეობრივია, რაც სასიქადულო და გამოსაჩენია მათ ცხოვრებაში, უსათუოდ დაკავშირებულია კვირა დღესთან.

ამ მხრივ მეტად სამარცხვინო და სათაკილო გამონაკლისს შევადგენთ ჩვენ, — ქართველები. ქართველებს სრულებით დავიწყებული გვაქვს კვირა დღის ღიადი აზრი და მნიშვნელობა. ჩვენ აღარც ფარისეველურად ვდღესასწაულობთ მას და აღარც ქრისტიანულად. თუკი საქმე გამოგვიჩნდა, ჩვენთვის განურჩეველია კვირაც და ორშაბათიც, დღეების სახელს არ დავეძებთ. არასოდეს არ დამავიწყდება, რა საბრალისად და ბეჩავად გამოიყურებოდნენ ხოლმე კვირა-უქმეობით მაღაზიებიდან და დუქნებიდან ნოქრები და მოსამსახურეები ჩემს ქუთასში სამსახურის დროს. უწყის ღმერთმა რამდენჯერ მოსულან ჩემთან ეს საბრალონი და გულ ამომჯდარი ტირილით შემოუჩივლიათ. ზოგს მშობლები გვყავს, ზოგს ცოლშვილი, მაგრამ მათთვის ჩვენ მხოლოდ სტუმრები ვართ, სახლში მართო დასაძინებლათ მივდივართ და კვირადღესაც კი, ავდგებით თუ არა ლოგინიდან, გვაძულეებენ დუქნებში გაჩქარებას და ამით მოკლებულნი ვართ ჩვენი ოჯახის წევრების აღერსსა და ნუგეშს, ჩვენი პატარა შვილები ვერ სტკბებიან ჩვენის მხრით მამობრივი თანაგრძნობით, კვირადღესაც არა გვაქვს დრო, რომ შვილები ხელში ავიყვანოთ, მუხლზე დავისუათ, ეკლესიაში წავიყვანოთ, ნათესავებს

უჩვენოთ და გავართოთ იგინიო. კვირასაც კი არა გვაქვს მოცლა, რომ რამდენიმე საათი მაინც გავატაროთ მოსვენებითსაკუთარი ქონის ჭერქვეშ მახლობელ პირთა წრეში, რამე წავიკითხოთ და ავამუშაოთ ჩვენი გონება, გავიხსენოთ, რომ სულიც გვიდგია, გარდა ხორციელ მოთხოვნილებათა, სარწმუნოებრივი, ზნეობრივი და ესთეტიკური გრძნობებიც გვაწუხებენო....

აქ, სამეგრელოში, ჩემი თვლით მიხახავს სხვა და სხვა ალაგებში, რომ კვირა დღეს სთოხნიდნენ სიმინდს, მკიდნენ ყანას, აშენებდნენ სახლებს და დატვირთული ცხენებით და ურმებით მიეშურებოდნენ ბაზრობას.

სამწუხარო ისაა, რომ დაბალი ხალხის ასეთ საქციელს ზოგიერთა, ვითომდა გაგებულნი პირები, არამც თუ ამართლებენ, დიდ სიკეთედაც თვლიან.

რათ სწუხართ და გნებავთ, რომ კვირას ხალხმა არ იმუშაოსო, უთქვამთ ჩემთვის ვითომდა ხალხის ერთგულებს, — ხომ იცით, რომ მოცლილი ხალხი ან დუქანში წავა და დვინოში ჩაიღრჩობა, ან ქურდობას ჩაიდენს, ან მეზობელს წაეჩხუბება, ან საკუთარ ოჯახს ააწიოკებს და უმჯობესი არ არის, რომ ისევ მშვიდობიანათ იმუშაოსო?

არ ვიცი, იქნება ნათქვამი მართალიც იყოს, იქნება საბრალო დაბალი ხალხი მართლა იმ ზომამდე გაპირუტყვებულია, თუ მუდამ უღელში არ აბია, თუ პირუტყვივით ყოველთვის რკინის ტაბიკებს შუა არ არის გაბმული, ყოველგვარ უკეთურებას ჩაიდენს და კისერს მოიტყვს, მაგრამ ვინ უნდა აგოს ამაში პასუხი? ვინ დააყენა დაბალი ხალხი ამ სამარცხვინო გზაზე?

შენ და მხოლოდ შენ, ვითომდა ხალხის მოკეთევ, შეგნებულნი პირო!

დაბალი ხალხიც იმას იმეორებს, რასაც შეგნებულნი ჩადიან. აბა ნასწავლ-

მა პირებმა წესად დაიდვან კვირაუქმეობით წირვა-ლოცვაზე სიარული, ეკლესიაში კრძალულებით დგომა, ეკლესიური წესების დაცვა კერძო ცხოვრებაში, თუ დაბალი ხალხიც გვერდში არ ამოუდგეს მათ, თუ დაბალმა ხალხმა მიიხედოსლა დუქნებისკენ!... აბა ინტელიგენტებმა წირვის შემდეგ გაუმართეთ დაბალ ხალხს კითხვები სასარგებლო საგნებზე, გააცანით სამშობლოს ბუნება, ისტორია, მწერლობა, გამართეთ გალობა და სიმღერა, თუ გლახი მოგშორდეთ თქვენ! მაგრამ რა მაგალითს იძლევა ჩვენი ინტელიგენცია?

სწორეთ კვირადღის ინტელიგენტთა დიდი ნაწილი ქალიან კაციანათ თავს იყრიან საგანგებო სახლებში, რომ საღამოდან მოკიდებული მეორე დღის მზის ამოსვლამდე უზომოთ სვან, ჭამონ, იცეკვონ, ბანქო ითამაშონ, ფულები წააგონ ან მოიგონ, ქალებთან იმხიარულონ და სხ. და სხ. ყველა ამის დამნახავი დაბალი ხალხი ფიქრობს: კვირა ძალი და კვირა დღე ნასწავლ ხალხს გადადებული აქვს გაძლიერებული სმა-ჭამისა და მოლხენისათვის, ალბათ ამას თხოულობს თვით ნასწავლობა და ჩვენც, გონება ბნელმა ხალხმა, მათ უნდა წავაძაოთ, უნდა მათსავით დავივიწყოთ ეკლესია და ქრისტი, კვირა, და მოყვსის დახმარება და ვინაიდან კლუბი მიუწდომელია ჩვენთვის თავისი სიძვირით, უნდა მოვძებნოთ სამიკიტნო და იქ შევისრულოთ ყველა, რასაც ნასწავლები აღწევს კლუბშიო....

ყოველგან დამლუპველიცა და ამშენებელიცა ერისა ყოფილან შეგნებული, მოწინავე წრის წარმომადგენელი. თუ შეგნებული ნაწილი ერისა, მორწმუნე და ზნე ფაქიზი ყოფილა, ერიც მდიდარი, მძლავრი ყოფილა, თუ წინააღმდეგ ამისა, ერის შეგნებული ნაწილის შვილებს ურწმუნოებისა და უზნეობის კია შექა-

რვია გულში, მთელი ერიც თანდათან დაფულუროებულია, დამპალა, დაუძლურებულია და ბოლოს პირქვე დამხობილა. ამას ჩავგძახის კაცობრიობის წასრული ცხოვრება. ამას გვიკარნახებს მსოფლიო ისტორია.

მაშ, გავითვალისწინოთ, რა საშინელი უფსკრულისკენ მივაქანებთ ჩვენს ერს მისი შეგნებული შვილები ჩვენი დღევანდელი, სრულებით შეუფერებელი საქციელით კვირადღეს და ამიერიდან ცოტათი მაინც წავბაძოთ განათლებული ქვეყნების მცხოვრებლებს ამ დღის აზრიანად და ქრისტიანულად გატარებაში. ამინ!

ეპისკოპოსი ლეონიდი

სამრევლოს აღდგენის საკითხის შესახებ.

(С.-Петербург. Вѣдомости-დან)

(დასასრული*).

რატომ ამის მსგავსი არაფერი არ არსებობს მართმადიდებელ აღმოსავლეთში, გავკადნიერდები და შევეკითხები შემოსავლების შემკრებთ საეკლესიო მამულებიდან? იქ ხომ საეკლესიო მამული არ ითვლება ეპისკოპოსის ან სასულიერო წოდების საკუთრებათ, არამედ ითვლება ღარიბების ქონებად. იქ თითოეულ შეწირულებას თავისი დანიშნულება აქვს და სამრევლო საბჭო ეპიტროპების განაგებს მას არა უნიადაგოთ, არამედ ხარჯავს ტაძრის შესანახად, შკოლების, თავშესაფარის, საოლქო საავადმყოფოს, ღარიბების, ობლების და სხვების სასარგებლოდ... იქ არ არიან მღვდლები სანთლით მოვაჭრენი და მრეწველნი და არც მამონის მოყვარულნი, რომლებიც ღვთის ანაბარად ტოვებენ

სამწყსოს და მიეშურებიან პალატაში (სახ. სათათბირო) საერო საქმეების მოსაწესრიგებლად. იქ თითოეულმა მწყემსმა იცის, რომ ასეთი საქმისათვის მას მოელის განკვეთა. იქ მწყემსი და სამწყსო შეადგენენ ერთ სხეულს, და არც ერთი სამრევლო არ დაუშობს რომ მისი მწყემსი შიმშილს განიცდიდეს, რომელსაც არ აქვს მიწა, რადგან მისთვის (მწყემსისთვის) უფრო ძვირფასია ქრისტიანის სულის შველა ვინემ დამუშავება თუ გინდ საზრდოს მომცემი მიწისა.

სასულიერო უწყება, რომელმაც ეკლესიის სამსახური ანაცვალა სასულიერო წოდების სამსახურს, არათუ არ ზრუნავს ეკლესიის კეთილდღეობაზე, მას თვით სახელმწიფო და რუსეთის მომავალი არ აინტერესებს. მთელი მისი ყურადღება, შრომა, მიქცეულია დღევანდელ დღეზე. მაგრამ მათთვის, რომელთათვისაც ძვირფასია წმ. ეკლესია, მონარქის ტახტი და რუსეთი, არ შეურიგდებიან იმ პოლიტიკას რომელსაც აწარმოებს სასულიერო უწყება.

სანამ სამრევლოს არ დაუბრუნდება წართმეული უფლებები, სანამ მასში არ აღმოცენდება საეკლესიო - სამრევლო ცხოვრება, მანემდი ინტელიგენცია ყოველთვის დაშორებული იქნება ეკლესიაზე და ადრე თუ გვიან შეიძლება დასრულდეს ეკლესიის განხეთქით, სხვა სარწმუნოების და სექტანტების გამარჯვებით. შეერთებული სამრევლო კი, რომელიც ავრცელებს ქველმოქმედების აზრს, ეხმარება ღარიბებს, სწავლა-განათლებას ავრცელებს სამწყსოში, მიიღებს ყოველ ზომებს უცხო სარწმუნოების მქადაგებელთა წინააღმდეგ, როგორც ამას ვხედავთ ოსმალეთში და საბერძნეთში სადაც ასეთ ქადაგებებს არა აქვთ ნიადაგი ბერძენთა შორის.

აი ეხლა ხალხი წელში წყდება არა მარტო საეროობო და სამრევლო შკოლე-

* იხ. „შინ. საქმეები“ № 4.

ბის შესანახად გაწერილ ფულების გადახდით, არამედ სამღვდელთაგანაც. სახელმწიფო ვითომც უცხადებს ხალხს, რომ ის გათავისუფლებულია კრებულის შენახვიდან და ზრუნავს მათ განათლებაზე, ზნეობაზე, მაგრამ ვინ არ იცის, რომ სოფელი უკანასკნელ გროშს მონობოლკაში ათავებს?

სულ სხვა სურათს ვხედავთ სხვად მორწმუნე ქრისტიანებში, ჩვენ ერთ-მორწმუნე (единовѣрцы) და რასკოლნიკებში. მათ არაფერ დახმარებას არ უწევს ხაზინა, მაგრამ ამავე დროს ისინი ინახავენ სამღვდელთაგან, შკოლებს; სამწყსო და მწყემსი მკიდროთ არიან შეკავშირებული სულიერ წინამძღვრის მეთაურობით. სამრევლო ცხოვრება სცემს ნაკადულივით. ღარიბ-ღატაკებს უწვდიან დახმარების ხელს; ყოველივე ეს ამრავლებს მათ სამწყსოს... მხოლოდ და მხოლოდ ის გესმის, რომ ამა და ამ ადგილას ამა და ამა დასტოვა მართლმადიდებლობა და მიიღო ან კათოლიკობა ან „სტარობრიადობა“ ან და სეკტანტობა. და ყოველივე ეს იმისთვის ხდება რომ მწყემსს (მღვდელს) არაფერი მკიდრო კავშირი არ მქვს თავის სამწყსოთან.

სასულიერო უწყება თვალს უხვევს მთავრობას კანცელიარული ქალაქდებით და ამიტომ მან (მთავრობამ) არ იცის ეკლესიის არა ნორმალური მდგომარეობა; სანამდინაც მიიყვანეს ის სინოდის ბიუროკრატებმა, რომლებიც ყოველ ღონეს ღონობენ, რამეფრად მართლმადიდებელ ხალხს არ დაუბრუნონ წართმეული კანონიკური სამრევლო; ამის წყალობით კი ეცემა სარწმუნოება; იზრდება მისწრაფება სხვა რჯულისადმი, ხალხი ურჯულოვდება და ხულიგანური მიდრეკილება იზრდება.

სხვა ერების სამრევლოში მდინ. ეოლოვის და კამას მიდამოში მაგ. ჩერე-

მისები, ჩუვაშები, მორდვეები, ვოტიაკები და სხ., რომელთაც სასულიერო უწყებამ წაართვა უფლება აღევლინათ ლოცვა. ღვთისადმი სამშობლო ენაზე, ტოვებენ ქრისტიანობას და იღებენ ისლამის რჯულს და კერპთაყვანისმცემლობას, რადგან მოლები უფრო ზრუნავენ მათზე, ვინემ რუსის მღვდლები, რომელთაც არ იციან მათი ენა, ზნე-ჩვეულება...

სასულიერო უწყება მისთვის აგვიანებს სამრევლოს აღდგენის საქმეს, რომ ის მილიონები, რომლებიც სამრევლო ეკლესიებიდან იკრიბება მაშინ ვერ ჩაჩხრიალდებოდნენ ებისკოპოსების ხელში, არაფრის მკეთებელი ეპარქიალური მისიონერების, კონსისტორიის მოსაქმე მოხელეების*) და სხვა სასულიერო დაწესებულებებზე, სახელდობრ საქალებო და სავაჟო სასულიერო სასწავლებლებზე და სხ.

დამოუკიდებელი სამრევლო, რომლის სათავეში მოექცევა სამრევლოს საბჭო, კანტროლის ქვეშ გაატარებს ყოველივე სამრევლოს შემოსავალს. მაშინ უწყებას არ შეეძლება დაუკითხავად ისარგებლოს ეკლესიებიდან შემოსულ ფულებით, და მას არ შეეძლება წმინდა თაფლის სანთლის მაგიერ გაავრცელოს ტაძრებში კონ. შერეული სანთელი და ასეთი სიყალბით, თითქმის მილიონებით გასქელება ჯიბის. მაშინ სამრევლო საბჭოს ვერაფერ აიძულებს ისარგებლოს ასეთი სანთლით და ტაძარი გაქვართლოს. ყველაფერი ეს ბატონ სინოდებისთვის და მთელი სასულიერო ბიუროკრატისთვის არც ისე გაუგებარია, რომ ვერ ამჩნევდნენ ამას დღეს.

სახელმწიფო სათათბიროში 50 მღვდელია, რომელთაც მიატოვეს სამწყსო ღვთის ანაბარად. ასეთ პირობებში რა-

*) ხალხმა რომელიც უკანასკნელ კვირის ადრეს ყულაბში, არ იცის რომ ნაწილი მისი შეწირულების მიღის ბ. ბ. კონსისტორიის მოხელეებზე.

საკვირველია ძნელი არის აღდგენა სამრევლოსი, რადგან სათათბიროში ძალიან ცოტა აღმოჩნდება ჩვენი ეკლესიის კეთილის მოსურნე.

სანამ პლატონოვი და ფილარეტოვი მ. მ. ვოსტორგოვებით და ბუტკევიჩებით და ბ. ბ. ოსტროუმოვებით და სკვორცოვებით სათავეში უდგანან საეკლესიო მართვა-გამგეობას; სანამ მათ ხელში არის ეკლესიის ბედ-იღბალი, მანემდი სამრევლო ისევ დაცემული იქნება.

6. ღურნოვი.

სამღვდელოების
საუკრადლებოთ.

ღღევანდელ ნომერში თქვენ წაიკითხავთ რომ პირველი იანვრიდან ისპობა ჩვენში გლახების დროებით ვალდებულობა. ამის მოსპობით ჩვენი თავად-აზნაურობა თბილისისა და ქუთაისის გუბერნიების, ხაზინიდან მიიღებს 8 მილიონამდე. ეს დიდი თანხაა ისეთ პატარა ერის ცხოვრებაში, როგორც ვართ ჩვენ.

ჩვენ საზოგადო მოღვაწეებს, რომელთაც ილიას თქმის არ იყვეს, ერის წყლული მიაჩნიათ წყლულად და მის ტანჯვით ეწვიან გული, სურთ რომელთაც კი წილი უდევთ ამ ფულში, გამოაღებინონ მცირე ნაწილი. ამ გამოღებულ ფულიდან აზრად აქვთ დაარსონ ისეთი დაწესებულება, ბანკი იქნება თუ სხვა რამ ასეთი, რომელიც დიდ დახმარებას გაუწევს ჩვენი ერის კულტურულად წინ წაწევის საქმეს.

იქნება ბევრმა იკითხოს, მერე ჩვენ რა გვეკითხებაო. მაგრამ აი საქმე რაშია: ძველად, როდესაც ჩვენი თავი ჩვენ გვეკუთნოდა, როდესაც დამოუკიდებლად ვცხოვრობდით და ჩვენს საქმეს ჩვენვე

განვაგებდით, სამღვდელოება ჩვენი ცხოვრების ბარომეტრი იყო, რომელიც სისწორით აღნიშნავდა ჩვენ საზოგადოებრივ ცხოვრების წაღმართიანობას და უკუღმართობას. ის ერთგვარი ლამპარი იყო, რომელიც თავის სამშობლოს გულისთვის ჩაუქრობლივ აშუქებდა და თუ საჭირო იქნებოდა მსხვერპლადაც შეეწირებოდა მას. ამას ბევრი ფიცი-მტკიცე არ ესაჯიროება. ამას მოწმობენ წიგნები, ამას მოწმობენ სიძველენი, ამას მოწმობენ გარდმოცემანი.

თუ ჩვენში, ჩვენი მამა-პაპათა სამშობლოს სიყვარულის მცირედი ნაპერწკალი დარჩენილა; თუ ჩვენ გულშიდაც ანთია მგზნებარე ლამპარი სამშობლოს სიყვარულისა, ჩვენც შეგვიძლია ამ დიდ ეროვნულ საქმეში ჩვენი წვლილიც შევიტანოთ. ბევრ ჩვენგანს ერგება ფული ხაზინიდან. ნუ დავიშურებთ ჩვენც მცირე ნაწილის გამოღებას, რითაც უკვდავ-ვყოფთ ჩვენ ხსოვნას. ესეც რომ არ იყვეს შეიძლება ბევრ ფულის მიმღებთაგანს არ აქვს კარგათ გათვალისწინებული მთელი სიდიადე ამ საქმისა. ჩვენ შეგვიძლია, როგორც გავლენიან პირთ მრევლში, დავარწმუნოთ, შევაკანებინოთ საქმის დიდი მნიშვნელობა ჩვენი ეროვნული ცხოვრებისთვის. ამით ჩვენ შეძლება მოგვეცემა რამოდენიმეთ დავუბტკიცოთ ჩვენ საზოგადოებას, რომ ჩვენში საზოგადო საქმისადმი ღვივის სიყვარული; რომ ჩვენც ერთგულ დარაჯათ ვუდგვივართ სამშობლოს საჭიროებებს.

ღრთებისა ვაღდებულ ვლესების კათაღისუყულებების ვამოა,

ჩვენ მოღუნებულ და სიბნელით მოცულ ცხოვრებაში შემოაშუქა ახალმა ცხოველმყოფელმა სხივმა. მეოცე საუკუნეს, საუკუნეს კულტურულად აყვავე

ბისას, ჩამოეფლითა ერთი სასირცხო რიდეთაგანი და ისტორიის წყვილიადს ჩაბარდა. 1 იანვრიდან მოსპობილ იქნა დროებით ვალდებულობა, ეს ჩირქის მომცხები ერთ-ერთი ინსტიტუტთაგახი. ვისაც გამოუცდია თუ რა არის პიროვნების დამცირება და უფულებობა ის აღვილად მიხვდება, თუ როგორი ნაბიჯი არის წინ გადადგმული იმ ბეჩავთა სასარგებლოდ, რომლებიც წელში წყდებოდენ ბატონების ხელში; ის აღვილად მიხვდება რა სასიხარულო უნდა იყოს საზოგადოთ და კერძოთ ვალდებულთათვის მისი მოსპობა, გაუქმება. თუ ის პატარა უპირატესობანი და უფლებები, რომლებით ჩვენ ვსარგებლობთ ვერ აკმაყოფილებენ ჩვენ სულიერ მოთხოვნილებებს, ერთი მითხარით, როგორი უნდა ყოფილიყო ვალდებულების ცხოვრება, რომლებიც ამასაც მოკლებულნი იყვნენ? რომელთაც ის პატარა ნაგლეჯი უფლებებისა არ მოეპოვებოდათ. დღეს კი ისინი უფლებებით უთანასწორდებიან ხვებს; ამდენ ხანს თუ ცხოვრება მათზე დედინაცვლურად ზრუნავდა, დღეს დედობას გაუწევს მათ. ამ რიგად ადამიანებს, რამოდენიმედ უბრუნდებათ ადამიანობა.

ხაზინა დახმარებას უწევს გლეხებს გამოიხსიდონ მამულები ბატონებიდან. ხაზინა გლეხის ხვედრ ფულს თითოხ იხდის, მხოლოდ გლეხმა განსაზღვრულ ვადაში ნაქრობით უნდა იხადოს ფული ხაზინის სასარგებლოდ. დადებული არის სამი ვადა 56, 41 და 28 წლები. თითოეულ სოფელმა, სოფლის ყრილობაზე უნდა დაადგინოს რომელ ვადას ირჩევს.

ვისაც უნდა 56 წლიანი ვადა მან წლიურად უნდა იხადოს მანეთის სარგებელი 4¹/₂ კ.; ვისაც 41 წელი მან უნდა იხადოს მანეთში წლიურათ 1 შაური; ხოლო ვისაც 28 წელი უნდა მან მანეთში წლიურად უნდა იხადოს 6 კაპეკი.

აგრეთვე ნება ეძლევათ დადებულ ვადამდე გადიხადონ თავისი ვალი, ან სრულიად ან ნაქრობით, მაგრამ არა ნაკლები თუმნისა.

გამოსყიდული უნდა იქნეს მიწები იმ საზღვრებში რომელიც ნაჩვენებია უსტავნი გრამატაში. ხოლო თუ რომელიმე მხარე არ არის თანახმა გრამატაში ნაჩვენები საზღვრების, იმ შემთხვევაში მას შეუძლია მოიწვიოს მიწის გამზომელი, ხოლო ხარჯს იხდის მოდავე.

ადგილის გამოსყიდვა უნდა მოხდეს შემდეგ ნაირად. თუ გლეხი ეზოსთვის მებატონეს აძლევდა 3 მ. წელიწადში, გამოსყიდვის დროს ეს 3 მ. უნდა გამრავლებულ იქნას $16^2 \times 3$. ე. ი. ეზოს საფასურად ის მიიღებს $3 \times 16^2 \times 3 = 50$ მან.

უვარგისი მიწები. როგორც არიან ქაობები, ქვიშიანი ადგილები, ხრამები, გზები და სხვა ასეთი ადგილები ეთმობათ უფასოთ სრულ სასაკუთროთ.

აი მოკლე განმარტება დროებით ვალდებულობის მოსპობის კანონისა.

კვირილამ-კვირამლე

მსოფლიო პატრიარხი.

ხალკიდონის მიტროპოლიტი გერმანე, რომელიც მსოფლიო პატრიარხათ ამოირჩიეს, დაიბადა ჩატალჯში და მიუხედავად იმისა, რომ 80 წლისაა მამაცად უჭირავს თავი. მას, არა თუ შერჩენილი აქვს ინტელექტუალური თვისებები, არამედ განირჩევა შესანიშნავ კუთვით, და მასთან ცნობილია სამაგალითო, ნამდვილი ბერული ცხოვრებით. მისი პოპულიარობა დაიწყო 1890 წ., როდესაც ის გაბედულად გამოვიდა ნაციონალურ ეკლესიების პრივილეგიების დასაცავად, რომლის წინააღმდეგ ამხედრდა მაშინდელი დიდი ვეზირი. მისი დაქინებით მთელი სამი თვე დახურული იყო ყველა ტაძრები და შკოლები, და ვაგ-

ზაენეს დეპუტაცია აბდულ-ჰამიდთან, რომელშიდაც შედიოდნენ სამი მიტროპოლიტი, რომელთა შორის იყო მიტროპოლიტი გერმანე.

აბდულ-ჰამიდის განცხადებაზე რომ მას არ შეუძლიან მოითმინოს სახელმწიფო სახელმწიფოში, მიტროპოლიტმა გერმანემ ამოიღო ჯიბიდან ბაწარი, მისცა სულთანს და უთხრა: „1821 წელს თქვენმა წინაპარმა ჩამოახრჩო პატრიარხი გრიგოლ V. აჰა. თქვენც ბაწარი, შეგიძლიათ ყველა ჩვენ ჩამოგვანჩოთ, მაგრამ ჩვენ არასოდეს ჩვენ უფლებაზე უარს არ ვიტყვი.“

ადვილად მისახვედრია, როგორ სიხარულს გამოიწვევდა ბერძენ მიტროპოლიტებში ასეთი გაბედული პასუხი მიტროპოლიტ გერმანესი. არჩევნების დროს ყოველთვის წამოაყენებდნენ ხოლმე მის კანდიდატურას, მაგრამ პორტა შლიდა ყოველთვის.

ამბობენ, მომავალი პატრიარქი ზომიერი პოლიტიკური შეხედულობის არის და მეგობრულად უყურებს სლავიანობას და რუსეთს.

25 იანვარს არხ. ნაზარიმ ბოდბის წმ. ნინოს მონასტერი ჩააბარა ახალ წინამძღვარს ილუმენია ანასტასის (ვისოცკაიას).

— ბოდბის დედათა მონასტერთან სამოსწავლო სემინარიის დასაარსებლად უწ. სინოდმა 80,000 მან. გადასდო.

— მარტყოფის მონასტრის გამგედ ეგზარხოზმა დროებით დანიშნა არხ. ფილარეტი.

— ჩვენ მცირე რიცხოვან მეცნიერთა ჯგუფს, რომლებიც თავგამოდებით იღვწიან სამშობლო და კაცობრიობის გულისთვის მიემატა ერთი, ჩვენი თანამემამულე პარმენ ჭეიშვილი, რომელიც დაიბადა 1871 წ. ს. ქვიტირში (ქუთაისის ახლო). დღეს ის პრივატ-დოცენტია

ხარკოვის უნივერსიტეტში და პროფესორი ქალთა სამკურნალო ინსტიტუტის. დაწერილი აქვს ბევრი სამეცნიერო შრომანი. უჭირავს ფარმაციის და ფარმაცოგნოზიის კათედრა.

აირია მონასტერი.

აი სწორეთ ეს სიტყვები გაგონდება ადამიანს, როცა შეიტყობ ჯრუჭის მონასტრის დღევანდელ მდგომარეობას და დააკვირდები მის მართვა-გამგეობას. შობა ახალ წლის შუა რიცხვებში (აღარ მახსოვს რომელი დღე იყო) ქუთაისის რკინის გზის სადგურზე შევხვედი ოთხს თუ ხუთს ბერს. მე ვასაკვირვლათ დამირჩა ამდენი ბერის ერთად მოგზაურობა და ისიც სუყველა ღრმა მოხუცებულებს. მისთანა ცუდ ამიდებში, როგორც იყო იმ დღეებში. მე მისალმების შემდეგ ვკითხე, თუ რომელი მონასტრიდან ბრძანდებითო. ჯრუჭის მონასტრიდან გახლავართო, ნაღვლიანათ მომიგეს. მერე გამოვკითხე მათი მგზავრობის მიზეზი. ბოლოს ერთმა დაიწყო: „ჩვენ ბატონო გახლავართ ჯრუჭის მონასტრიდან. ჩვენ მონასტერში სულ შეიღდი მღვდელ-მონაზონი ვართ. წეს-წყობილება ჩვენს მონასტერში იმნაირივეა, როგორც სხვა იმერეთის მონასტრებში. დღემდის ავით იყო, თუ კარგათ, ეცხოვრობდით ჩვენს მონასტერში და ღვთის ვედრებაში ვატარებდით ჩვენს დღეს, მაგრამ ეს ექვსი თვეა, ჩვენი ცხოვრება აღარ ღირს და ყველა სიკვდილის ენატრობთ. ამ ექვსი თვის წინეთ ჩვენ გამოგვიზაენეს ახალი არხიმანდრიტი აბაშიძე. მოსვლისათნავე მამა არხიმანდრიტმა დაგვიწუნა წირვა-ლოცვა. თქვენ წირვა-ლოცვა არ გკოდნიათ და ახლა უნდა ისწავლოთო. რაღა დროს ჩვენი სწავლა არის ახლა ბატონო, კაცები მოვხუცებულვართ და ჩვენი წირვა-ლოცვა კაცს არ დაუწუნია. ხშირათ ბრძანდებოდნენ ხოლმე ჩვენს მონასტერში ეპისკოპოსები ყოვლად სამღვდელო გაბრიელი, ლეონიდი და დადიანიოქო. მაგრამ არ მიიკარა ჩვენი სიტყვები. მერე ავიტყდა, როგორ თუ მოხუცებულებს შტატი დაგვიკვებია“

თო, თქვენ ადგილზე ყმაწვილები უნდა მოვიყვანო და ჯამაგირიც და შემოსავალიც ჩემს ნებაზე უნდა იყოსო. დღეიდან არაერთად შემოსავალს არ ელოდეთ და არც ჯამაგირსო. ჩვენ ამაზე არ დავყაბულდით, ამაზე ის გაბრაზდა და ნიკოლოზობას, ექვს დეკემბერს წირვის შემდეგ სახალხოთ გამოგვიცხადა, დღეიდან ეკლესია დაკეტილი იქნებაო და აი ხალხოვო, მიმართა ხალხს: ეკლესია სავსეა ყოველიფრით და თუ რამე დაიკარგა ბერებს იქით გზა არ მაქვსო. ეკლესია კი დღეიდან დაკეტილი იქნებაო. თითო ძროხა თუ ვისმე გაგვანდა აღარ გაგვაშვებია და ყოლების ნება აღარ მოგვცა. ერთ დღეს დაიჭირა და სოფლის პომოშნიკის ხელით საჩხერის პრისტავთან აგზავნიდა მაგრამ უშველოს ღმერთმა ისე იმ პომოშნიკს, იმან დაუშალა. ბატონო სირცხვილი იქნება ბერების ძროხები რომ პრისტავთან წავიყვანო ქვეყანა რას იტყვისო. ყელამ ნახევარ ფასში დავიკარგეთ. თითო ოროლა ტარო სიმინდი ვისაც გვქონდა წავიკარგეთ, ბოსტნები შემოგვირღვია და შემა ცეცხლზე დასწვა. ყოველ დღე მონასტრიდან გვითხოვენ. ეხლა ყოვლად სამღვდელოსთან მივდივართ და იმის წინ უნდა მოვიკლათ ჩვენი თავი თუ არ გვიპატრონაო.“ ასე დაათვა ამ მოხუცებულმა ეს ამბავი და თვლებიდან ცრემლები წამოსკდა. არ ვიცი რა ინება მისმა მეუღლემ ყოვლად სამღვდლო გიორგიმ, მაგრამ მე კი დღესაც მიკვირს და ვერ წარმომიდგენია, რისთვის უნდა დაჩაგროს კაცმა კაცი ასე და ისიც სამღვდლო პირმა? რაღა სასოება უნდა გვქონდეს და რას უნდა ველოდეთ ამისთანა სამღვდლო პირებისაგან? ძალიან კარგს ინებებს მამა არხიმანდრიტი ხსენებული მონატრისა, რომ გაზეთისავე საშუალებით, თავს იმართლებდეს (თუ აქვს სიმართლე) საზოგადოების წინაშე. ან და გამოარკვევდეს თავის მიზანს, თუ რა უფლებებით სჩადის ამისთანა საქმეს, რომლის მსგავსიც ჯერ არ გავიხილა. პასუხს ველოთ.

აღმწოდებელი.

სიტყვა,

თქმული შორაპნის ძაწრის თავდასწრა-
ურთა წინამძღოლის, თავადის ალექსან-
დრე (ბიჭიკო) სვიმონისმე წყურთლის და-
საულავეების დღეს.

„მოვედით ერნო მორწმუნენო, და-
სასრულისა ამ შორის ყოფა მივცეთ
მკვდარსა და ვმადლობდეთ ღმერთსა“.

კიდევ გასჭრა უგრძობელმა და ცივმა
ბარმა ღრმა სამარე ყოვლად პატიოსანი
ადამიანის გვამის დასალობად. კიდევ გა-
დაესხა თავზე მშვენიერ ოჯახს მწვავე
მწუხარების მღუღარება, კიდევ შევიქე-
ნით მოწამენი გულდამწველი და სისხლ-
გამშრობი ცრემლთა ფრქვევისა.... სუ-
ლი მიწუხს, გულზე ლოდსავეთ დამწო-
ლია ღრმა მწუხარება. ვერ წარმომიდგე-
ნია, რაფრათ მოვიწილო ამისთანა ძვირ-
ფასი ადამიანის მოშორება, მისი გასტუმ-
რება იქ, საიდანაც ჯერ არავინ დაბრუ-
ნებულა. ამგვარ მდგომარეობაში წმ.
ეკლესია მოგვმართავს ბრძანებით: „მოვე-
დით ერნო მორწმუნენო, დასასრულისა
ამბორის ყოფა მივცეთ მკვდარსა და
ვმადლობდეთ ღმერთსა“.

ღიახ, ამბორის ყოფა, ნთხევა, და-
კოცნა მიცვალებულის გაცივებული შუბ-
ლისა მწუხარების მოსანელებელი საშუა-
ლებია, მგლოვიარეთა გულის მოთხოვნი-
ლებია და უნებლიედაც ვასრულებთ ამას.
გარნა რაღაზე უნდა ვმადლობდეთ
ღმერთსა ამ შემთხვევაში? სიცოცხლე მო-
ესპო ჩემ საყვარელ არსებას, ჩემს კერას
წყალი დაესხა. დამიშრა სიხარულის წყა-
რო, და კიდევ მადლობა შევსწირო? მაგ-
რამ ასე საყვედურით რომ მივმართავთ
ღმერთს, გვიფიქრია რა შეადგენს კაცის
ბუნებას და რა ამავი აქვს გაწეული მა-
ზე უფალსა. მიწა, ნაცარი, ერთი მუქა
მტვერი — აი ჩვენი ბუნება, აი ჩვენი არსე-

ბა. ვინ გახდა ეს არარაობა, ეს არაფრათ ღირებული მტვერი და მიწა სადგურად და ქურჭლად უკვდავი და გონიერი სულისა? ვინ დაბადა ამ მტვერისაგან კაცი, რომელიც შეერთებული იყო ჩვენთან ათას გვარი კავშირით, რომელიც უნათებდა თავის ოჯახს ცხოვრების გზას, ჰყენდა თავის გარეშე ამ დენი ხანს სიამოვნებას, სიხარულს და ბედნიერებას, თუ არა განუსაზღვრელმა, ჩვენი გონებისაგან მიუწოდომელმა და ჩვენი სიტყვით გამოუთქმელმა ღვთის კაცთმოყვარეობამ? განა დასავიწყარია როდისმე ესოდენი სიკეთე, ესოდენი ბედნიერება. მოღებული ჩვენზე ზეციერი მამისაგან? ყველაფერი ეს არ უნდა გვიბადავდეს დღესაც, როდესაც ვტირით კეთილი ადამიანის დაკარგვას და შევმოხილვართ მწუხარების ძაძით.

ღვთის მადლით, ღვთის დახმარებით, ღვთის ნებით და მზრუნველობით შეიძინა მიცვალებულმა ღირსეული სახელი, შექმნა ოჯახი, მოიპოვა სიყვარული მოყვასისადმი და განა ამის შემდეგ მის ნათესავებს და მეგობრებს ეთქმისლა რამე საყვედური ღვთისა? დარწმუნებული ვარ, რომ მთელი შორაპნის მაზრა, რომელსაც მართავდა ბ. ალექსანდრე, განუჩრვლად წოდებისა და სქესისა არ შეიძლება არ ჰგრძნობდეს მძიმესა მწუხარებასა, მხედველი და არა მხედველი ამის კუბოსა და მას შინა მღებარის მიცვალებულისა. არა თუ მისნი ნათესავნი და მეგობარნი, არამედ ყოველნი, რომელთაც გაგონილი ქონდათ ვინ იყო იგი და რა კაცი იყო, დღეს არიან ღრმად შესწუხებულნი მისი სიკვდილისაგან.

მართლაც, ვინ არ შესწუხდება, მხედველი ასე უდროოდ მისი გარდაცვალებისა! ჩვენი ქვეყანა, ჩვენი საზოგადოება, სამწუხაროდ, ყოველად ღარიბია ამის შესავსი პირებით. არა თუ ღარიბი ვართ, თითქმის არაფერ არ არის ჩვენ შორის

ისეთი პირი, რომელსაც შეეძლოს მთელი საზოგადოების ყურადღების და მინდობილების მიზიდვა. მიცვალებული კი იყო ერთი ასეთი პირი. იგი იყო შემკული ქეთითა და ამასთანავე ცხოვრება და საქმენი მისნი ყოველთვის იყვნენ ყოველად სასარგებლო და გამოსადეგი საზოგადოებისათვის. საზოგადოებისაგან მას ქონდა მინდობილი დიდი საქმე, რომელსაც იგი მართავდა ქეთით და წარმატებით. იგი გარდაიცვალა უდროოდ და ვერ მოასწრო თვისი საქმის სისრულეში მოყვანა. ვინ არ შესწუხდება მხედველი ასე უდროოდ მისი გარდაცვალებისა? თუმცა მართლა უდროოდ გარდაიცვალა, თუმცა მას კიდევ მრავალი სიკეთის და სარგებლობის მოტანა შეეძლო საზოგადოებისათვის, მაგრამ ჩვენ შეგვიძლია თავი ვინუგეშოთ მით, რომ მან დიახ პატიოსანი სახელი და ქება დასტოვა.

საშინელი გრიგალი დაგატყდათ თავს ბატონო ჭირისუფლებო. ნეტარხსენებული და თქვენის გონებიდან განუშორებელი ბიჭიკოს მოშორებით. ზეციური მამის წყალობა იყო, რომ დღევანდლამდე ხარობდით და ბედნიერობდით თქვენი ბიჭიკოს სიკოცხლით და დღეიდან კი შეუბრალებელი სიკვდილი გაშორებდათ ამ ქვეყნიერად მის შემკობილს სახეს და იზიდავს ცივ საპარეში.

თქვენ არ მომკვდარხართ ნეტარხსენებულო ბ. ალექსანდრე, არამედ ცოცხალ ხართ ისევე, მხოლოდ ბავენი შენნი დახშულ არიან და არ ძალგძის პასუხის მოცემა. ბედნიერი არიან თქვენი მშობლები იმ ქვეყნიერად მით, რომ ამ ცოტა ხნის განმავლობაში მოიპოვეთ სიყვარული აქა მდგომარე საზოგადოებისა თქვენი კარგი, გონიერი მოქმედებით და დასამტკიცებლად ამისა შენს კუბოს ირგვლივ ღვრიან უზომო ცრემლისა და ვეუდრებიან უფალსა, რომ შენისთანა ბევრი მოგვლინებოდეს.

პირადად მე ბევრი მადლობა მაქვს თქვენთან სათქმელი, თქვენი კარგი ჩემდამი განწყობილებისათვის მსმენელთა საყუარდლებით, მაგრამ გული მერჩილება და ენა შებმის, ვხედავ რა თქვენს დახუჭულ თვალებს. მშვიდობით კეთილო სულს, საუკუნოდ იყოს ხსენება შენი. უკანასკნელად ვეამბორები შენს ფართე შუბლს და ჩემი ცოდვილი პირით გამოვიტხოვ ღვთისაგან, რომ თქვენი სული დამკვიდრებულ იქმნეს წიაღთა შინა აბრაამისასა და თქვენს მამიშვილებს მიენიჭოს მრავალ წელს ტანმრთელობითი სიცოცხლე.

მღვდელი ბიკტორ ტყემალაძე.

მოწერილი აბები.

სოფ. აკეთი (გურია).

დაბა ლანჩხუთიდან ათი ვერსტის მახლობლად მდებარეობს სოფელი აკეთი. სოფელი აკეთი განიყოფება სამ სამრევლოთ: ზემო აკეთი, ქვემო აკეთი და ქვედა აკეთი. ძველად ხსენებული სამივე სამრევლო ერთ სამრევლოთ ყოფილა, რომელსაც ეწოდებოდა „ქვემო აკეთის მაცხოვრის ეკლესია“.

როცა ზემო აკეთის და ქვედა აკეთის წ. გიორგის ეკლესიები გაუშტატებიათ, ქვემო აკეთის მაცხოვრის ეკლესიას შერჩენია დღეს მხოლოდ 139 კომლი, ამათგან 39 კომლი თავად-აზნაურნი და სასულიერო წოდების პირნი არიან. ხოლო 100 კი მსახური შვილებია. ეკლესია აშენებულია თლილი ქვისაგან, შესანიშნავი კანკელით მორთული, რომელიც თავისი ძველის ძვირფასის ნივთებით ირიცხება მდიდარ ეკლესიად, რომელიც დიდათ მოწონებულ იქმნა ყოვლადუსამღვდელოების ეპისკოპოსის ლეონიდის მიერ 1910 წელში, მისი რევიზიის დროს. ხსენებული აკეთის მაცხოვრის ეკლესიის

მღვდლათ 1896 წლამდის ყოფილან ყოველთვის ამავე სამრევლოს მაცხოვრებნი. 1896 წ. დღემდე ხსენებულმა ეკლესიამ გამოიცივალა ხუთი მღვდელი. დღეს მსახურებს ხსენებულ ეკლესიის მღვდლათ მღ. კოსტანტინე შარაშიძე, რომელიც განწესდა ხსენებულ ეკლესიაზედ 1910 წ. რა იყო მიზეზი რომ ასეთი მოკლე დროს, 16 წლის განმავლობაში, რომ ხსენებულმა ეკლესიამ ხუთი მღვდელი გამოიცივალა? რამ აიძულა ამ ხსენებულ მშვენიერათ მორთულ ეკლესიის მღვდლებს სხვა უმცირეს შტატზედ გადაარება? რა იყო მიზეზი რომ ხსენებული ეკლესიის ყოფილი მღვდელი დავით ჯინჭარაძე, რომელსაც სამუდამოთ ჰქონდა გადაწყვეტილი აკეთში ეცხოვრა და კიდევაც დასახლდა ამავე სამრევლოში, რომელიც მუდამ შრომობდა ხსენებული ეკლესიის გაუმჯობესობაზედ და კიდევაც მისი მეცადინეობით ბევრი შესძინა ხსენებულ ეკლესიას, მუდამ მზათ იყო ყოველი მხრით ხელი მოეწყო თავისი სამწყსოსთვის, ასწავლიდა უფასოდ საეკლესიო გალობებს, როგორც ვაყებს ისე ქალებს და სცდილობდა მუდამ ზნეობრივად განვითარებას თავისი მრევლისას რამ აიძულა ასეთი ხსენებული მღ. მ. დავითი ჯინჭარაძე, მიეტოვებია მისი მეოხებით გამშვენიერებული ეკლესია, საუცხოვოთ მორთული ოჯახი და უჯამაგირო ეკლესიაზედ გადიარა შორეულ სოფელში, რომელსაც დღეს მთელი მრევლი ნამდვილი მამობრივი სიყვარულით იხსენიებს?

როგორც გამოირკვა ყველა ეს მიზეზები გამოუწვევია იმ პირებს მრევლისას, რომლებსაც თავისი არაფერი აბადია და სხვისი ნაოფლარით უნდათ იცხოვრონ, ყოველ გვარი არა ადამიანური მოხერხებით, რომელიც აშკარათ აიხსნა 1912 წ. აგვისტოს 22-სა.

ზემოთ მოხსენებულ 22 აგვისტოს

ხსენებულ ეკლესიის სკოლის შენობაში იყო დანიშნული გამოძიება, სასულიერო გამოძიებლის მღ. ბესარიონ ხომერჩის მიერ, შესახებ ადგილობრივი მღვდლის კოსტანტინე შარაშიძისა, რომელსაც უჩიოდა მიხელ როსტომისძე თავდგირიძე და ძმა მისი შალვა. საჩივარი დაწერილი იყო შალვას სახელით და საქმეს იცავდა მიხელ. საჩივარში მოხსენებული მუხლები იყო სიმართლეს მოკლებული და კლიაოზური. როდესაც გაიგო ეს ხსენებულმა მრევლმა, შეიყარა თავი თითქმის 60 კომლმა ხსენებულ სკოლის დარბაზში და ერთხმად უთხრეს აღნიშნულ მომჩივან მიხელ თავდგირიძეს თავი დაეხებებია ასეთი კლიაოზურ საჩივრისათვის და ისიც უთხრენ რომ თქვენი მიზეზით მოგვმორდასაუკეთესო მღვდლებიო: მაგრამ თავისი არ დაიშალეს. როცა გამოძიებელმა მოწმეებს შეკითხა, რომლებმაც მისი საჩივარი არ გაამართლეს, დაემუქრა რევოლვერზედ ხელ დადებით და გვერდის გახვრეტა შეპირდა ნაფიც მოწმეებს. ხსენებული მღვდელი კ. შარაშიძე ადგა და იქმყოფ თავის მრევლს შეეკითხა: შეიძლება ჩემში მართლა ხედავდეთ ისეთ ნაკლს, რომელიც მღვდლისაგან არ არი მოსაწონი, ან და დამიშავებია შეიძლება რამე. თუმც რომ ასეთი არაფერი მიმიძღვის, ნუ მაიძულებთ ვიმაკადინო სადმე სხვა სამრევლოში გადარება. ამაზედ მრევლმა მოახსენა თავის მღვდელს, რომ ჩვენ თქვენში ჯერ ავს ვერაფერს ვხედავთ და არც დღეს შეუძლია ვინმემ შეგავიწროვოსო, რადგან ჩვენ კარგად ვვაქვს გეგებული მაგ ვაებატონების საქციელიო. აქედან სჩანს აშკარათ, რომ მომჩივან თავდგირიძეს აზრათ ჰქონია, როგორც ეს თითქმის ხელობათ აქვს გარდაქცეული, ესარგებლნა რამე მოპასუხე მღვდლიდგან. როგორც ნამდვილ ახსნილია, მომჩივანი მიხელ თავდგირიძე

დღეს სცხოვრობს ზემოთ მოხსენებულ მღვდლის დავით ჯინჭარაძის კუთვნილ სახლში, რომელიც იძულებული გახდა მისთვის მიეცა ნახევარის ფასათ და იმაშიდაც უარი უთხრა. რა გასაკვირია ასეთმა რაინდმა, რომ დღესაც გაილაშქროს საწყალ სოფლის მღვდელზედ და მიაყენოს ყოველგვარი შევიწროება, ისეთაც შევიწროებულ და ნიეთიერ საშვალეებს მოკლებულს. თუმცა ხსენებული მღვდელი დასახლდა ხსენებული ეკლესიის სამრევლოში და აზრათაც ჰქონდა, თუმც მთავრობის განკარგულებით არ გადაიყვანდენ ეცხოვრა და ემსხურა ხსენებულ ეკლესიაზედ, მაგრამ თუ რომ ასეთ მუქთან ხორებს და კლიაოზნიკებს შესაფერი აღვირი არ ასდევს, იძულებულ შეიქნება ესეც იმ გზას დაადგეს, რა გზასაც 16 წლის განმავლობაში ხუთმა მღვდელმა დაადგა, ხსენებული აკეთის მაცხოვრის ეკლესიისა.

საჭიროა და სასურველია აგრეთვე რომ ასეთ საჩივრების გამოძიება მიენდოს გამოცდილ და დახელოვნებულ სასულიერო პირს. აგრეთვე გამოძიებაზედ უნდა დაესწროს ადგილობრივი ბოქაული ან და საზოგადოების მამასახლისი, რომელიც უნდა იცავდეს წესიერებას, რომელსაც მოკლებული იყო 22 აგვისტოს გამოძიება მღვდლის ბესარიონ ხომერჩის მეთაურობით.

დამსწრე მრევლთაგანი.



მღვდელი ნიკოლოზ გიორგის ძე ჩიხლაძე.

ქრისტეშობისთვის 30-სა დღესა 1912 წელსა გარდაიცვალა შტატ გარეშე მყოფი მღვდელი ნიკოლოზ გიორგის ძე ჩიხლაძე. გახსვენებული იყო შობიდან 97 წლისა. 47 წელიწადი მსახურებდა ოსუნელა-ნამახვანის წმიდა გიორგის ეკლესიაზე მღვდლად, მხოლოდ ოთ-

ხი წელიწადი მედავითნეთ და მღვდლად ოსეთში. სიყრმიდგანვე ჰქონდა სურვილი მთელი თავისი სიცოცხლე შეეწირა ეკლესიური სამსახურებისათვის. ამისათვის, მიიღო-რა სწავლა მარტვილის ორ-კლასიან სამინისტრო სასწავლებელში, უკითხავად დედ მამისა, რომლებიც წინებს არ აძლევდნენ ოჯახიდან წასვლისას. ის გაეშურა ოსეთისაკენ. როგორც ოსური ენის კარგად მცოდნე, ის მაშინდელი საქართველოს ექსარხოსის ისიდორესაგან განწესებულ იქმნა მედავითნედ ოსეთში, მხოლოდ სამი წლის შემდეგ ხელდასხმული მღვდლად. შემდეგში კი გადმოყვანილ იქმნა მღვდლად იმერეთის ეპარქიაში ოსუნელა-ნამახვანის წმიდი გიორგის ეკლესიაზე. შესანიშნავია, რამ აიძულა განსვენებული მამა ნიკოლოზი გადმოსულიყო ოსეთიდან იმერეთის ეპარქიაში. ამის შესახებ განსვენებული ასე მოგვითხრობდა: „ჩემს დროს ლეკები თავისუფალნი იყვნენ, ისინი ხშირად ეცემოდნენ საქართველოს განაპირა სოფლებს და იტაცებდნენ ადამიანებს და მონებად ჰყიდდნენ. ერთხელ ლეკები დასცემოდნენ კახელებს და მოეტაცნათ მწყემსი 16 წლისა, ვაჟი, გვარად ხუციაშვილი და მიეყიდნათ ოსებისათვის. მე ვნახე ლეკებისაგან მოტაცებული და ოსებზე მიყიდული კახელი ხუციაშვილი, მან მთხოვა, რომ მესაშუალებია მისთვის და სამშობლო კახეთში დამებრუნებია. ძალიან საშიში იყო იმ დროებაში ტყვეობაში მყოფი კაცის გამოსხნა ოსებისგან. სიკვდილი აუცილებელი იყო. ორი კვირის ფარულად მოგზაურობის შემდეგ შევიძელი ხუციაშვილის დაბრუნება კახეთში და მშობლებისათვის ჩაბარება, რის გამო ოსები ამიშხედრდნენ და იძულებული გაუხდი გადმოვსულიყავი იმერეთის ეპარქიაში ოსუნელა-ნამახვანის წმიდი გიორგის ეკლესიაზე მღვდლად. მე რომ ოსუნელა-ნამახვანში მოვედი, იტყოდა გან-

სვენებული მ. ნიკოლოზი, მაშინ მთელ სოფელში ითვლებოდა თუცდა ცამეტი მოსახლე, დღეს კი ბედნიერათ ვსთვლი ჩემს თავს, რომ თუცდა ცამეტი მოსახლის ადგილზე ორასზე მეტს ვხედავ, რომლებიც ჩემს ხელში დაიბადნენ, მონათლენ და აღიზარდნენ. მე ჩემს სამრევლოში მიწა-წყლის მებატონე არ ვიყავი, რასაც ვმოულობდი, შვილებს ვახმარდი, რომ მათ სწავლა-განათლება მიეღოთ, რადგანაც უკეთესათ ვსთვლიდი მათთვის განათლებას. თანახმად ყოვლადსამღვდელო იმერეთის ეპარქიის ეპისკოპოსის გიორგის განკარგულებისა და ხალხის სურვილისა პატივცემული მოხუცი დასაფლავებული იქმნა ოსუნელის წმიდი გიორგის ეკლესიაში.

საუკუნოთ იყოს ხსენება მისი!

მასწავლებელი ნაე ჯიშკარიანი.

წერილები რედაქციის მიმართ.

ბაქოში შემდგარი ჯგუფი, რომლის მიზანია ბ. მაქსიმ გორკის მიაწოდოს ქართველ მწერალთა საუკეთესო ნაწერები რუსულ ენაზე გადათარგმნილი, უკვე შეუდგა თავის საქმეს. ჯგუფს მოსდის თარგმანები. ბევრი კიდევ ვკითხებოდა თარგმნის პირობების შესახებ. ყველა ამ შეკითხვათა პასუხად ჯგუფმა დაადგინა გამოაცხადოს შემდეგი:

საჭიროდ მიგვაჩნია ითარგმნოს ჩვენი საუკეთესო მწერლების ბელეტრისტიური და პოეტური ნაწერები, ხოლო სახელდობრ რომელი ნაწერი — ამის ამორჩევას ვანდობთ თქვენ პირად გემოვნებას და ხალისს. რომელი ნაწერიც თქვენ მოგეწონათ და რომლის თარგმანაც გეხალისებათ თარგმნეთ ის და მოგვაწოდეთ.

რასაკვირველია, გადათარგმნა იმ ნაწერების, რომელიც უკვე გადათარგმნილია და სხვა და სხვა დროს დაბეჭდილიც — საჭირო არ არის. ასეთ დაბეჭდილ თარგმანების სიას მოკლე დროში გამოვაქვეყნებთ.

რაც შეეხება თარგმანის პილების და დაბეჭდვის პირობებს, ამ საგანზე გაცნობებთ შემ-

დევს: მიიღებთ ჰონორარს იმ ნათარგმანებისათვის, რომელნიც დაიბეჭდება: ჰონორარის რაოდენობის აქედანვე განსაზღვრა ძნელია, ყოველ შემთხვევაში არა ნაკლებ კაპეიკისა სტრიქონზე. ეს დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რას მოგვცემენ რუსეთის გამომცემლები. თავის თავად ცხადია, რომ ლექსში გაცილებით მეტს მიიღებთ, ვინემ პროზაში. ჯგუფი გამომცემელ ჰონორარიდან დაიტოვებს მხოლოდ რამოდენიმე პროცენტს ამ საქმეზე გაწეულ წვრილმან ხარჯების დასაფარავად. დანარჩენს სრულიად გადასცემს მთარგმნელს.

თქვენ მიერ გამოგზავნილი თარგმანი გადაიბეჭდება რემინგტონზე სამ ცალად. ხოლო დედანი და ერთი ცალი გადაწერილისა თქვენვე დაგიბრუნდებათ.

ამასთანავე გთხოვთ ხელნაწერის გვერდებზე დასტოვოთ ფართო კარიელი ადგილები შესწორების ჩასაწერად.

მისამართი: Баку, Гоголовская ул. д. Мухтарова Ник. Вас. Канделяки,

მიიღეთ ჩვენი პატივისცემა ჯგუფის მონდობილობით **ნ. კანდელაკი.**

დიდით პატივცემულო მამაო ს.!*)

ქურნალ-გაზეთებიდან გავიგეთ, რომ თქვენ ბრძანდებით რედაქტორი სამღვდელოების ორ-

განოს „განთიადის“ და ამისათვის კერძოდ თქვენ გთხოვთ და საზოგადოდ მთელ რედაქციას, რომ თქვენი ქურნალი, თუ შესაძლებელია, უფასოდ დაგვითმოთ ტენევის ქართველ სტუდ. სამკითხველოსათვის. ქართველ სტუდენტობას ეროვნული არსებობის ყოველივე მხარე აინტერესებს და რადგანაც ქართული ეკლესია და სარწმუნოება ერთი უმთავრესი საკითხთაგანია, ამისათვის საჭიროა ვიცნობდეთ ქართველ სამღვდელოების აზროვნებას ჩვენი საეკლესიო საქმეების შესახებ. გაფრინდა ის დრო, როცა ყველაფერს აბუჩად ვიგდებდით, დღეს ახალგაზდობა უფრო დინჯათ-სერიოზულათ აზროვნობს, ვიდრე წინეთ. ღრმად დარწმუნებული, რომ ჩვენს თხოვნას უკუზადებოთ არ დასტოვებთ, მადლობას წინდაწინ გითვლით.

პატივისცემით ვენევის უნივერსიტეტის სტუდ.-მედიკი ლ. მელაძე.

*) რედაქცია სიხარულით ეგებება ჩვენი ახალგაზდობის ერთი ნაწილის გულწრფელ აღსარებას და მზათ არის, რითაც შეეძლება დანმარება გაუწიოს და მზარი დაუჭიროს ასეთ კეთილშობილურ გადაწყვეტილებაში.

რედ.

რედაქტორი მღვდელი **სიმონ მჟვალშიძე.**
გამომცემელი **იოსებ ლეჟავა.**

მიიღება ხელის მოწერა 1913 წლისათვის.
ყოველთვიურ ჟურნალ

„განთიადზე“

(წელიწადი პირველი)

და ყოველკვირეულ გაზეთ

შინაურ საქმეებზე“

წელიწადი მეხუთე

წლიური ფასი ქურნალისა ცალკე 5 მანეთი, გაზეთისა 1 მანეთი, ორივესი ერთად 8 მანეთი. სახალხო სამკითხველოებს და სოფლის მასწავლებლებს ორივე გამოცემა წლიურათ 7 მანეთად დაეთმობა. ორივე გამოცემა სარწმუნოებრივ-საზოგადოებრივია.

რედ. მღ. ს. მკედლიძე.

გამართულია ხელის მოწერა 1913 წლის
ყოველ-ღლიურ საკოლიტიო და სალიტერატურო გაზეთ
 წელიწადი მეოთხე „**სახალხო გაზეთი**“ წელიწადი მეოთხე

1913 წელს გაზეთი გამოვა იმავე პროგრამით, როგორც აქამდის გამოდიოდა.

ყოველ ღლიურ გაზეთის გარდა 1913 წელსაც გაზეთს ექნება

სურათებთან დაკავშირებული

(კვირობით).

პირველი 1913 წლის

წლიური ხელის მოწერნი, ე. ი. ისეთები, რომელნიც მთელი წლის საფასურს გადაიხდიან, ან წინდაწინვე განაცხადებენ გაზეთის კანტორაში, რომ წლიური ხელისმოწერნი არიან.

მოდებენ

1913 წლის განმავლობაში

მ რ ვ ი ბ ნ ს:

1) უცხოეთის მფარლები.

2) ქართველი მფარლები.

ამ წიგნში შევა სხვა და სხვა ნაწარმოებნი უცხოეთის გამოჩენილ მწერლებისა, ზომით იქნება არა ნაკლებ 400 გვერდისა და წლიურ ხელის მოწერით დაურიგდებათ იანვრის დასასრულს. ამ წიგნში შევა ქართველ მწერალთა სხვა და სხვა ნაწარმოებნი, როგორც პოეტური, ისე ბელეტრისტული, ზომით იქნება არა ნაკლებ 500 გვერდისა და წლიურ ხელისმოწერით დაურიგდებათ ენკენისთვეში.

გაზეთის ფასი როგორც თბილისში, ასე მას გარედაცემის წელსაც იქნება 8 მან. 50 კ. ნახევარი წლით 4 მან. 50 კ., ერთი თვით 75 კაპ.

გაზეთის ფასი

—:— ტფილისში და მის გარედაცემის

—:— საზღვარ გარედაცემის

| წლ. | 11 თ. | 10 თ. | 9 თ. | 8 თ. | 7 თ. | 6 თ. | 5 თ. | 4 თ. | 3 თ. | 2 თ. | 1 თ. |
|------------|-------------|------------|------------|--------|------------|------------|------------|--------|------------|------------|---------|
| 8 მ. 50 კ. | 8 მ. — | 7 მ. 50 კ. | 6 მ. 75 კ. | 6 მ. — | 5 მ. 25 კ. | 4 მ. 50 კ. | 3 მ. 75 კ. | 3 მ. — | 2 მ. 25 კ. | 1 მ. 50 კ. | — 75 კ. |
| 1 მ. 50 კ. | 10 მ. 75 კ. | 10 მ. — | 9 მ. — | 8 მ. — | 7 მ. — | 6 მ. — | 5 მ. — | 6 მ. — | 3 მ. — | 2 მ. — | 1 მ. — |

ცალკე ნომერი ყველგან მაური; დამატებანი ნომერა შეიღი კაპიკი. X აღრესის გამოსაცემელი ფასი ქალაქიდან ქალაქ გარედაცემისა, ან ქალაქ გარეთისა ისევ ქალაქ გარეთისაზე 40 კაპ., დანარჩენ შემთხვევაში სდრწის გამოცემა უფასოა.

იმ ხელისმოწერმა, რომელიც **ორივე კრამის** მიღებას **ფოსტით** მოიხურებებს, გასაგზავნ ხარჯად უნდა გამოგზავნოს ხელისმოწერის ფასთან ერთად კიდევ ათი **მაური**. ვინც რედაქციის კანტორაში მიიღებს პრემიას. იმას ეს ფული არ გადახდება.

ხელისმოწერის კვირობები:

1) წლიურ ხელის მოწერით გაზეთის ფასი (8 მან. 50 კ.) შეუძლიანთ გადაიხადონ ნაწილობით, მხოლოდ აუცილებლად შემდეგ ვადებზე: ხელის მოწერისთანავე 3 მ., 1 აპრილამდე 2 მ., 1 თებათვემდე 2 მ., 1 ენკენისთვემდე 1 მ., 50 კ., 2) გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და არა უმეტეს 1913 წლის გასულისა.

ხელის მოწერა გამართულია:

1) „სახალხო გაზეთი“-ს კანტორაში (სახალხის ქუჩა, სარაჯიშვილის სახლი, შესავალი ეზოდან); რომელიც დღია დღით 9-3 საათამდე და საღამოს 5-7 საათამდე, გარდა კვირა-უქმებისა. 20 დეკემბრიდან კი დღია იქნება: დღის 9 ს.-დან საღ. 8 ს.-დე, კვირაობით და დღესასწაულებში დღი. 11 ს.-დან ნაშუადღევის 3 ს. 2) ქ. შორის წერა-კითხვა-გამავრცელ. საზოგ. მოავარ გამგეობის წიგნის მთავარიაში: სახალხის ქუჩა, თავად-ახნაურთა ქარვასლო.

3) ფასტით. Тифлисе, Груз. газ. „САХАЛХО ГАЗЕТИ“, поч. ящ. 190.

სტამბა „ქობა“ კახაივის ქუჩა № 17. ქ. ქუთაისში.